ბიზნესის, სამართლისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

„ დამტკიცებულია შესწორებებით “ რექტორი პროფ. როლანდ კოპალიანი აკადემიური საბჭოს დადგენილება № 2 (20/21) 9 სექტემბერი, 2020 წელი	„დამტკიცებულია შესწორებებით “ დეკანი პროფ. ნანა შონია ფაკულტეტის საბჭოს სხდომის ოქმი № 17 2 ივნისი, 2020 წელი

საბაკალავრო საგანმანათლებლო

პროგრამა

ს ა მ ა რ თ ა ლ ი

ქუთაისი

2020

კურიკულუმი

პროგრამის დასახელება	სამართალი (Law)
მისანიჭებელიაკადემიურიხარისხი/ კვალიფიკაცია	სამართლის ბაკალავრი (Bachelor of Law)
ფაკულტეტის დასახელება	ბიზნესის, სამართლისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი
პროგრამის ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები/ კოორდინატორი	მამუკა შენგელია, სამართლის დოქტორი; აწსუ-ს სამართლის დეპარტამენტის პროფესორი.
პროგრამის ხანგრძლივობა/მოცულობა (სემესტრი, კრედიტების რაოდენობა)	პროგრამის ხანგრძლივობა - 4 სასწავლო წელი, 8 სემესტრი. კრედიტების რაოდენობა - 240 ECTS კრედიტი.
სწავლების ენა	ქართული
პროგრამის შემუშავებისა და განახლების თარიღები	აკრედიტაცია: 16.09.2011; გადაწყვეტილება №17. შემუშავება და განახლება: ➢ სამართლის დეპარტამენტის 19.05.2011, №5; 29.08.2011, №1; 29.02.2012, №7; 11.05.2012, №8; 15.04.2016, №5; 30.06.2017, №8; 22.03.2019, №5; 20.12.2019, №5; 13.06.2020, №10 ოქმების ამონაწერები. ➢ ფაკულტეტის საბჭოს 31.05.2011, №17; 25.05.2012, №13; 15.02.2013, №6; 05.05.2015, №7; 5.09.2017, №1; 26.03.2019, №13; 24.12.2019, №8; 2.07.2020, №17 ოქმების ამონაწერები. ➢ აკადემიური საბჭოს 31.08.2011, №1 (11/12); 5.09.2012, №4 (12/13); 29.05.2013, №99 (12/13); 28.05.2015, №68 (14/15); 15.09.2017, №1 (17/18); 12.09.2019, №2 (19/20); 9.09.2020, №2 (20/21) დადგენილებები.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

სამართლის საბაკალავრო პროგრამაზე სტუდენტის დაშვების წინაპირობაა:

- სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი - ატესტატი და ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგები;
- ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე, სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა მიღება/ჩარიცხვა ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;
- გარე და შიდა მობილობა ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილ ვადებში, სავალდებულო პროცედურებისა და უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წესების დაცვით;
- სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა ან გადმოყვანის წესით ჩარიცხვა უცხო ქვეყნის აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს გადაწყვეტილების საფუძველზე.

პროგრამის მიზანი

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია:

- უმაღლესი განათლების ეროვნულ და საერთაშორისო სტანდარტებზე დაფუძნებული სამართლის ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მქონე, საქმიანობის სფეროს ფართო მცოდნე კონკურენტუნარიანი სპეციალისტის მომზადება შრომის ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინებით, რომელიც შეძლებს არსებული და განვითარებადი სამართლებრივი საკითხების გადასაჭრელად შესაბამისი პროფესიული ცოდნის გამოყენებას და დანერგვას.
- ქალაქის, რეგიონისა და მთლიანად ქვეყნის განვითარებაზე მოტივირებული, რთული და გაუთვალისწინებელი პრობლემების გადაჭრისათვის შემეცნებითი და პრაქტიკული უნარების გამოყენებით შედეგზე ორიენტირებული შესაბამისი საფეხურის იურისტის მომზადება.
- თეორიული და პრაქტიკული კომპონენტების სწავლებაზე, ზოგადად, პროფესიულ ეთიკაზე, პასუხისმგებლობაზე და სამართლიანობაზე დაფუძნებული ღირებულებების განვითარებით, შესაბამისი საფეხურის იურისტისათვის საჭირო უნარ-ჩვევების გამომუშავება საზოგადოებრივი საჭიროებების გათვალისწინებით.

სწავლის შედეგები	
ცოდნა და გაცნობიერება	**სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ სტუდენტი:** • **აღწერს:** **I.** სამართლის ძირითად არსს და სოციალურ დანიშნულებას; სამართლის წყაროებს; სამართალშემოქმედებას; ნორმატიულ სამართლებრივი აქტების სახეებს; ნორმატიული აქტის მოქმედების ფარგლებს; ნორმატიული აქტის სისტემატიზაციას; სამართლებრივ ურთიერთობას; სამართლის მოქმედების და მისი რეალიზაციის ფორმებს; სამართლის ნორმათა განმარტებას; მართლზომიერ ქცევას, სამართალდარვევას და იურიდიულ პასუხისმგებლობას; კანონიერებას და მართლწესრიგს; ეროვნული სამართლის სისტემას და კანონმდებლობის სისტემას; თანამედროვეობის სამართლებრივ სისტემებს (ოჯახების); ქართული სამართლის ისტორიულ პირდაპირ და არაპირდაპირ, საეკლესიო (კანონიკური), საერო, სახელმწიფო-სამართლებრივ (კონსტიტუციურ), სისხლისა და სამოქალაქო სამართლის ხასიათის წყაროებს. **II.** სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის კურიკულუმით გათვალისწინებული დარგობრივი სასწავლო კურსების ძირითად თეორიებს, წესებს, პრინციპებსა და რეგულირების თავისებურებებს, მათ შორის: ➢ ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების ცნებას; ძირითად უფლებათა სუბიექტებს; კონკრეტულ ძირითად უფლებებსა და თავისუფლებებს; ძირითადი უფლებების დარღვევის შემოწმებას; თანასწორობის ძირითად უფლებებს; საქართველოს კონსტიტუციის ძირითად პრინციპებს; სახელმწიფო მოწყობისა და ადგილობრივი თვითმმართველობის საკითხებს; საქართველოს საარჩევნო სისტემის და საარჩევნო პროცესის თავისებურებებს; საქართველოს პარლამენტის სტატუსს, ლეგიტიმაციის ფარგლებს და უფლებამოსილებებს; საქართველოს პრეზიდენტის და საქართველოს მთავრობის კონსტიტუციურ სტატუსს და უფლებამოსილებებს; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ფორმირების წესს, შემადგენლობას და უფლებამოსილებებს; საქართველოს საერთო სასამართლოების სტრუქტურას; ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების უფლებამოსილებებს; საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციური სამართლის წყაროებს, სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის გამიჯვნისა და ურთიერთმიმართების მექანიზმებს; ზოგადი ადმინისტრაციული სამართლის ინსტიტუტებს, საკონსტიტუციო და ადმინისტრაციული სამართალწარმოების თავისებურებებს. ➢ კერძო სამართლის სისტემას; ფიზიკური პირის უფლებაუნარიანობის, ქმედუნარიანობის, დელიქტუნარიანობის ფარგლებს; იურიდიულ პირს და მისთვის დამახასიათებელ თავისებურებებს; გარიგების ცალკეულ სახეებს; ნივთზე ფიზიკურ და იურიდიულ პირთა ბატონობის პირობებს; სანივთო-სამართლებრივ, ვალდებულებით, საოჯახო და მემკვიდრეობით, შრომის სამართლის ინსტიტუტებს; სამოქალაქო საპროცესო ურთიერთობების (სამართალწარმოების) სუბიექტებს, სასამართლოს უწყებრივ ქვემდებარეობას და განსჯადობას, ვადებს და მხარეებს, სამოქალაქო პროცესის თავისებურებებს; საოჯახო და მემკვიდრეობითი სამართლის საკითხებს. ➢ სისხლის სამართლის პრინციპებს, სისხლის სამართლის კანონის მოქმედების ფარგლებს; დანაშაულის ჩადენის სტადიებს; სასჯელის მიზნებს და სახეებს; ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციის არსს და მნიშვნელობას;

	ადამიანისა და კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულის მარეგულირებელ სისხლისსამართლებრივ ნორმებს; სისხლის სამართლის პროცესის მონაწილეთა უფლებებს და მოვალეობებს, საპროცესო ვადებს, საგამოძიებო და სასამართლო პრაქტიკის; დანაშაულის კრიმინოლოგიურ ასპექტებს, დანაშაულთა გახსნის მეთოდიკას; მტკიცებულებათა დასაშვებობას, მტკიცებულებათა შეკრებას, შემოწმებას, შეფასებას და წარდგენას; სისხლის სამართლის საქმეზე დაცვის ქვეშ მყოფისათვის სასარგებლო გადაწყვეტილების მიღების უზრუნველყოფის მიზნით ადვოკატის მიერ რელევანტური მტკიცებულებების მოპოვების არგუმენტებს. ➢ საერთაშორისო საჯარო სამართლის მოქმედების სფეროს; საერთაშორისო საჯარო სამართლის, როგორც კონკრეტული საერთაშორისო სისტემის - სახელმწიფოთაშორისო სისტემის განუყოფელ ნაწილს; საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი სამართლის თანაფარდობას; საერთაშორისო საჯარო სამართლის ძირითად პრინციპებს და საერთაშორისო საჯარო სამართლის სუბიექტებს; საერთაშორისო ხელშეკრულების ცნებას, სტრუქტურას და ხელშეკრულების დადების თავისებურებებს; საერთაშორისო ორგანიზაციების სტრუქტურას და უფლებამოსილებებს; საერთაშორისო მართლსაწინააღმდეგო აქტების სახეებს; დიპლომატიური და საკონსულო სამართლის ინსტიტუტებს; ადამიანის უფლებების და ძირითადი თავისუფლებების საერთაშორისო-სამართლებრივ ასპექტებს; საერთაშორისო სახის დანაშაულს; სახელმწიფო ტერიტორიის და ტერიტორიული უზენაესობის ცნებებს; საზღვაო სამართლის თავისებურებებს; საერთაშორისო დავების მშვიდობიანი გადაწყვეტის საშუალებებს; კონფლიქტების ლოკალიზაციისა და ჰუმანიტარიზაციის ძირითად წყაროებს. • **განსაზღვრავს:** **III**. მოსმენის უნარის გამოყენებით სამართლებრივი დავის მოგვარების ეფექტური კონსულტაციის და მოლაპარაკებების ძირითად პრინციპებს, მიზნებს და პრიორიტეტებს; შესაძლო ალტერნატივებს და თითოეული მათგანის დადებით და უარყოფით მხარეებს; მხარის მიზნებს, პოზიციებს და ინტერესებს ფაქტობრივ ჭრილში; სამართალწარმოებაში ეფექტური ადვოკატირების ელემენტებს; საპირისპირო არგუმენტების გასაგებად ახალ და უცნობ ფაქტობრივ სიტუაციებს; იურისტის დამოუკიდებელ ანალიზზე დაყრდნობით პრობლემის გადაწყვეტის მისაღწევად შესაძლო საშუალებებს; თანმიმდევრულ და ეფექტურ პროფესიულ სტრატეგიას.
უნარი	**IV.** ამოიცნობს სამართლებრივ საკითხებს ფაქტების რიგითობით, ზუსტი და სრულყოფილი გაგებით იურიდიულ, ინსტიტუციურ და ინტერპერსონალურ ჩარჩოებში; ოპტიმალურად გაიაზრებს და გამოიყენებს პროფესიულ უნარებს, პროცედურებს და კანონის უზენაესობას სამართლებრივი პრობლემების კრიტიკულად გასაანალიზებლად იმ სოციალურ კონტექსტში, რომელშიც იქმნება სამართლებრივი პრობლემა და საჭიროების შემთხვევაში შეიმუშავებს ეფექტურ სტრატეგიას და სამართლებრივ საფუძვლებს, რომლებიც ემყარება კონკრეტული იურიდიული ან სოციალური პრობლემების მოგვარებას, მათ შორის გაურკვეველ, განუსაზღვრელ და არაკონსტრუქციულ სიტუაციებს; სამართლებრივი პრობლემების შესაძლო გადაწყვეტის ფორმულირებისა და შეფასების მიზნით, ლოგიკისა და რიტორიკის პრინციპებს; სოციალურ თვითმყოფადობის მაკრო და მიკრო დონეებს და განსხვავებებს, რამაც შეიძლება გავლენა იქონიოს სიტუაციაზე და მიზანზე.

	V. აანალიზებს სამართლის ფუნდამენტურ წყაროებს, კონცეფციებს და ნორმატიულ საფუძვლებს ლოგიკურ და თანმიმდევრულ ჩარჩოებში; ფაქტობრივი გარემოებების დადგენის და შეფასების მიზნით პრობლემის ამოცნობას, მოსაზრებების შეფასებას და გადაწყვეტილების მიღებას, თითოეული წყაროს წონას, საიმედოობას და სავალდებულო ან დამაჯერებელ ავტორიტეტს; სამართლებრივ დავაში ეფექტურად ჩართვას, სავარაუდო შედეგების დასადგენად განსახილველ ფაქტებს, დავის გადაწყვეტის სათანადო პროცესებში მონაწილეობას იურიდიული და ფაქტობრივი ამოცანის გადაწყვეტის მიზნით. **VI.** ადგენს იურიდიული შინაარსის (ნორმატიული აქტის, ხელშეკრულების, საჩივრის, სარჩელის და ა.შ), აგრეთვე, სხვადასხვაგვარი ანალიტიკური და დამაჯერებელი დოკუმენტების პროექტებს; წინასწარ განსაზღვრული ინსტრუქციების შესაბამისად იურიდიული პრობლემის მოსაგვარებლად შეიმუშავებს სამართლებრივი ხასიათის დასაბუთებული დოკუმენტის ცალკეულ კომპონენტს, როგორც გონივრულ საშუალებას პრაქტიკული ხასიათის ამოცანების გადასაჭრელად; მოქმედების სხვადასხვა შესაძლო გეგმებიდან, შედარებითი ეფექტურობიდან და მიზანშეწონილობიდან გამომდინარე შეიმუშავებს და გამოიყენებს იურიდიული კვლევის ინსტრუმენტებს და პრაქტიკული ხასიათის პროექტებს. **VII.** შეიმუშავებს დავის გადაწყვეტის სათანადო პროცესებში ეფექტურად ჩართვის სტრატეგიას და გონივრულ ტაქტიკას, დავის გადაწყვეტის ალტერნატიულ საშუალებების გამოყენების შესაძლებლობებს; მედიაციის თეორიისა და ტერმინოლოგიის, მედიაციის ფუნდამენტური პრინციპების და მედიატორის შესაძლო მიდგომების დიაპაზონს, ერთობლივი და ჯგუფური სესიების სათანადო გამოყენებას; მოლაპარაკებებში და მედიაციაში ეთიკური საკითხების და პრინციპების ადეკვატურად და უფლებამოსილების ფარგლებში გამოყენებას სხვებთან და დამოუკიდებლად სტრუქტურირებულ პირობებში. **VIII.** მსჯელობს იურიდიული ტერმინოლოგიის და თანამედროვე საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით ვერბალური (ზეპირსიტყვიერი) და წერითი ფორმით, მათ შორის სასამართლოში და სამართალწარმოების სხვადასხვა ეტაპზე საჯაროდ, არგუმენტირებულად და გასაგებად, ინფორმაციის ობიექტურად და დამაჯერებლად გადმოცემით, დამოუკიდებლად კრიტიკული დასკვნების გამოტანით; აზრის ლაკონურად და გასაგებად ჩამოყალიბებით; ინფორმაციის მიღების, შერჩევის და თვითანალიზის ფორმულირებით; იურიდიული მუშაობის ორგანიზებისას და მართვისას ტექნოლოგიის სათანადო გამოყენებით. **IX.** მოიძიებს და გამოარჩევს ეფექტურად მუშაობისათვის რთული პრობლემების გადაწყვეტის საშუალებებს, მათ შორის, ინტერდისციპლინარულ გუნდთან თანამშრომლობის გზით იურიდიულად მნიშვნელოვან ფაქტებზე და საჭიროებისამებრ ამ ფაქტების საფუძველზე სათანადო დასკვნებს მიზნების და ამოცანების გათვალისწინებით და საბოლო პროფესიული სამუშაო პროდუქტის შექმნით; მოქმედ კანონმდებლობას და საკანონმდებლო ცვლილებებს; საერთაშორისო კონტექსტში შესაძლო არგუმენტების და საპირისპირო არგუმენტების გასაგებად ახალ და უცნობ ფაქტობრივ სიტუაციებს პიროვნული და პროფესიული განვითარების გასაუმჯობესებლად; საჭიროების შემთხვევაში, ბიბლიოთეკარების და პროფესიონალი პერსონალის გამოყენებით ინფორმაციის საიმედოობას და სტრატეგიულ მნიშვნელობას იურიდიული პერიოდული გამოცემებით; სამეცნიერო სიახლეებს, როგორც ბეჭდურ, ისე ელექტრონულ მედიაში, როგორც კომერციულ, ისე უფასო იურიდიულ ელექტრონულ წყაროებში.
პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა	**X.** ცნობს იურისტის საქმიანობის ეთიკის ფარგლების, ეთიკური სტანდარტების მაქსიმალურად დაცვას და დემოკრატიულ ფასეულობებთან შესაბამისობას;

	პროფესიონალიზმს იურიდიული პროფესიის ღირებულებებთან და სტანდარტებთან; ინდივიდთა უფლებების განხორციელებას სამართლიანობის, პატივისცემის, თანაგრძნობის, კეთილგანწყობის, სოციალური და დემოკრატიული ფასეულობების გათვალისწინებით; განსხვავებული აზრის, ოპონენტის არგუმენტირებული პოზიციის მოსმენის პატივისცემას; იურისტის პროფესიულ ღირებულებებს და ეთიკურ ასუხისმგებლობებს; პროფესიის ვალდებულებას შეძლებისდაგვარად ხელი შეუწყოს საზოგადოების ხელმისაწვდომობას სათანადო იურიდიულ მომსახურებებზე, შესაძლებლობას ყველას ჰქონდეს თანაბარი წვდომა. **XI.** წარმართავს შესაბამისი საფეხურის იურიდიულ პროფესიაში ეფექტურ საქმიანობას; პროფესიული პასუხისმგებლობით თანამშრომლობის განხორციელებას კოლეგებთან; საზოგადოებრივი სერვისების მიმართ ვალდებულების შესრულებას და სათანადო იურიდიულ მომსახურებაზე წვდომის ხელშეწყობას; კოლეგებთან საერთო მიზნებისათვის თანამშრომლობას; საკითხებს და წესებს, რომლებიც გათვალისწინებულია ახალ და უცნობ ფაქტობრივ სიტუაციებში საპირისპირო არგუმენტების გასაგებად; პროფესიონალი გუნდის შემადგენლობაში თანამშრომლობის ნათელ და ეფექტურ კომუნიკაციას ლოგიკისა და რიტორიკის პრინციპების დაცვით. **XII.** ავლენს საკანონმდებლო ცვლილებების, სასამართლო პრაქტიკის, მეცნიერების სიახლეების მიდევნებისა და ცოდნის მუდმივად განახლების უნარს და შემდგომ საფეხურზე სწავლის გაგრძელების მნიშვნელობას; სპეციალიზირებულ ცოდნას ინტერესის სფეროებში და გამოცდილების მიღებასთან დაკავშირებით; სწავლისა და უნარების განვითარების სხვადასხვა შესაძლებლობებს; აკადემიური კარიერის განვითარების უნარებსა და ფასეულობებს.

სწავლება-სწავლის მეთოდები და აქტივობები

სწავლება-სწავლის მეთოდები:

- ლექცია;
- პრაქტიკული მუშაობა (სამუშაო ჯგუფში მუშაობა, სემინარი);
- ელექტრონული სწავლება (ელექტრონული რესურსით სწავლება).

სწავლება-სწავლის პროცესში გამოყენებული აქტივობები სწავლის შედეგებთან მიმართებით:

ცოდნა და გაცნობიერება:

- ინდუქცია, დედუქცია, ანალიზი;
- წიგნზე მუშაობა;
- წერითი მუშაობა;
- ვერბალური ახსნა–განმარტება;
- დემონსტრირება;
- შემთხვევის ანალიზი (Case study);
- დამოუკიდებელი სწავლა;
- პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL);
- გონებრივი იერიში (Brain storming).

უნარი:

- ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება (lBD);
- როლური და სიტუაციური თამაშები;
- შემთხვევის ანალიზი (Case study);
- გონებრივი იერიში (Brain storming);
- ევრისტიკული მეთოდი;
- გუნდური (collaborative) მუშაობა;
- დისკუსია/დებატები;
- ანალიზი;
- პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL);

- პროექტის შემუშავება და პრეზენტაცია (ზეპირი, Power Point და სხვა).

პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა:

- დამოუკიდებელი სწავლა (ესეს, რეფერატის, პროექტის, მოხსენების მომზადება);
- პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL);
- დისკუსია-დებატები, რომელთა დროსაც სტუდენტი შეძლებს წარმოაჩინოს ეთიკური ნორმების გაგებისა და არგუმენტაციის უნარ-ჩვევები.

პროგრამის სტრუქტურა

პროგრამის მოცულობა - 240 ECTS კრედიტი

მათ შორის:

თავისუფალი სავალდებულო კომპონენტი 24 კრედიტი;

ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსები 159 კრედიტი;

ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი სასწავლო კურსები 127 კრედიტი;

თავისუფალი არჩევითი კომპონენტი 22 კრედიტი.

სასწავლო კურსების განაწილება სემესტრებისა და კრედიტების მიხედვით

სემესტრი	თავისუფალი სავალდებულო კომპონენტი	ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსები	ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი სასწავლო კურსები	თავისუფალი არჩევითი კომპონენტი	სულ
I	5	21	4		30
II	9	18	-	3	30
III	5	21	4		30
IV	5	21	4	-	30
V	-	26	4	-	30
VI	-	26	4	-	30
VII	-	16	14	-	30
VIII	-	10	20	-	30
სულ:	**24**	**153**	**52**	**11**	**240**

სტუდენტი ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსების თვალსაწიერის გაფართოების მიზნით, საკუთარი სურვილისა და ინტერესების გათვალისწინებით ირჩევს:

- I, III, IV, V და VI სემესტრებში 4 კრედიტიან ერთ სასწავლო კურსს;
- II სემესტრში 3 კრედიტიან ერთ სასწავლო კურსს;
- VII სემესტრში 5 კრედიტიან ორ სასწავლო კურსს და 4 კრედიტიან ერთ სასწავლო კურსს;
- VIII სემესტრში 4 კრედიტიან ხუთ სასწავლო კურსს;
- VII და VIII სემესტრებში სტუდენტთა შერჩევის საფუძველზე ხორციელდება იურიდიული კლინიკური განათლების პრაქტიკული კომპონენტი დამატებითი 10 კრედიტის მოცულობით ამერიკის იურისტთა ასოციაციის ინიციატივით, თანამშრომლობით და დახმარებით დაარსებულ სამართლის დეპარტამენტის იურიდიულ კლინიკაში.

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა და კომპონენტები

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში არსებული შეფასების სისტემა იყოფა შემდეგ კომპონენტებად:

საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის შეფასების საერთო ქულიდან (100 ქულა) შუალედური შეფასების ხვედრითი წილი შეადგენს ჯამურად 60 ქულას, რომელიც თავის მხრივ მოიცავს შემდეგი შეფასების ფორმებს:

სტუდენტის აქტივობა სასწავლო სემესტრის განმავლობაში *(მოიცავს შეფასების სხვადასხვა კომპონენტებს)* - **არა უმეტეს - 30 ქულა;**

შუალედური გამოცდა - არა ნაკლებ - 30 ქულა;

დასკვნითი გამოცდა - 40 ქულა.

დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელის შუალედური შეფასებების კომპონენტებში მინიმალური კომპეტენციის ზღვარი ჯამურად შეადგენს **არანაკლებ 24 ქულას.**

შეფასების სისტემა უშვებს:

ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას:

ა.ა) **(A) ფრიადი** – შეფასების 91-100 ქულა;

ა.ბ) (**B) ძალიან კარგი** – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;

ა.გ) (C) **კარგი –** მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;

ა.დ) (D) **დამაკმაყოფილებელი** – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;

ა.ე) (E) **საკმარისი** – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.

ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას:

ბ.ა) (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

ბ.ბ) (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტში, FX-ის მიღების შემთხვევაში დამატებითი გამოცდა დაინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში.

1. დასკვნით გამოცდაზე სტუდენტის მიერ მიღებული შეფასების მინიმალური ზღვარი განისაზღვრება 15 ქულით.
2. სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა.
3. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში.
4. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით საგანმანათლებლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის მიღების შემთხვევაში, სტუდენტს უფორმდება შეფასება F-0 ქულა.
5. სტუდენტის მიღწევების შეფასების დამატებითი კრიტერიუმები გასაზღვრულია სასწავლო კურსების სილაბუსით.

<u>შენიშვნა:</u>

1. შუალედური და დასკვნითი (დამატებითი) გამოცდები ჩატარდება ფორმალიზებული წესით: *<u>საფუძველი:</u>* საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის ბრძანება №3; აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის 2017 წლის 15 სექტემბრის №1 (17/18) დადგენილება.
2. სტუდენტის შეფასების კრიტერიუმები განსაზღვრულია სასწავლო კურსების სილაბუსით;
3. პროგრამის თითოეული შედეგის სამიზნე ნიშნულად განისაზღვრა სტუდენტთა საერთო რაოდენობის 60 %-ის მიერ სხვადასხვა აქტივობებით გათვალისწინებული მაქსიმალური ქულის 70%-ის მიღწევა. სამიზნე ნიშნულებთან დადარება მოხდება 2 წლიან დინამიკაზე მონიტორინგის შედეგად;
4. პროგრამის სასწავლო კურსის სწავლის შედეგების გაზომვა მოხდება აკადემიურ წელიწადში ერთხელ, აღნიშნული სასწავლო კურსის ხელახლა განხორციელებამდე არაუგვიანეს 1 თვისა და დადარდება პროცენტულ მაჩვენებლებს;
5. პროგრამის თითოეული სწავლის შედეგის გაზომვა მოხდება პროგრამაზე თანდართული კურიკულუმის რუკის მიხედვითი სემესტრის ბოლოს, სადაც დადგა აღნიშნული სწავლის შედეგი;
6. პროგრამის სწავლის შედეგების გადახედვა და მონიტორინგი მოხდება 2 წლიან დინამიკაზე დაკვირვებით. დინამიკაში დაკვირვების შემდეგ თუ გამოვლინდა რეგრესი (სამიზნე ნიშნულებთან დაკვირვებისას) მოხდება სწავლის შედეგების და მიღწევის გზების გადახედვა და შესაბამისად პროგრამის მოდიფიცირება არსებული რეგულაციების გათვალისწინებით.

დასაქმების სფეროები

- სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა არის კერძო თუ საჯარო სფეროში, მათ შორის, საჯარო უფლებამოსილებით აღჭურვილ ორგანოებში იურისტის პროფესიაში შესვლის/დასაქმების საშუალება. ამასთან, სამართლის ბაკალავრის აკადემიური ხარისხის გარდა, ადვოკატის, ნოტარიუსისა და პროკურორის პროფესიაში შესვლის წინაპირობაა, მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული შესაბამისი საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარება;
- სამართლის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი სამართლის სამაგისტრო პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა.

სწავლისათვის აუცილებელი დამხმარე პირობები/რესურსები

საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური რესურსები: პროგრამას ემსახურება სხვადასხვა მიმართულების, როგორც აკადემიური პერსონალი, ისე დოქტორანტები და მოწვეული პრაქტიკოსი სპეციალისტები, მათ შორის: პროფესორი - 2 ; ასოცირებული პროფესორი - 14; ასისტენტ პროფესორი - 1; ხელშეკრულებით მოწვეული დოქტორი - 3; დოქტორანტი - 9; მასწავლებელი - 4; მოწვეული ლექტორი/სპეციალისტი - 15.

	სახელი და გვარი	სასწავლო კურსის დასახელება	სამეცნიერო ხარისხი, აკადემიური თანამდებობა
		აკადემიური პერსონალი	
1.	მამუკა შენგელია	შესავალი სამართლისმცოდნეობაში; საერთაშორისო საჯარო სამართალი (ლექცია/პრაქტიკული); ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი (ლექცია/პრაქტიკული); საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი (ლექცია/პრაქტიკული)	სამართლის აკადემიური დოქტორი, სამართლის დეპარტამენტის პროფესორი.
2.	ირაკლი შენგელია	სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი (ლექცია/პრაქტიკული); კრიმინოლოგია (ლექცია/პრაქტიკული); საერთაშორისო სისხლის სამართალი (ლექცია/ პრაქტიკული); პრობაციის სამართალი (ლექცია/პრაქტიკული)	სამართლის აკადემიური დოქტორი, სამართლის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი.
3.	ომარ მინდაძე	სისხლის სამართლის კერძო ნაწილი 1 (ლექცია/პრაქტიკული); სისხლის სამართლის კერძო ნაწილი 2 (ლექცია/პრაქტიკული); ქმედების დანაშაულად კვალიფიკაცია (ლექცია/პრაქტიკული); სასჯელაღსრულებითი სამართალი ლექცია)	სამართლის აკადემიური დოქტორი, სამართლის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი.
4.	ია ჩხეიძე	არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება (ლექცია/პრაქტიკული); სასამართლო უნარ–ჩვევები (ლექცია); საპროკურორო სამართალი (ლექცია)	სამართლის აკადემიური დოქტორი, სამართლის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი.
5.	კობა ბუაძე	სისხლის სამართლის პროცესი (ზოგადი ნაწილი)(ლექცია/პრაქტიკული); სისხლის სამართლის პროცესი (კერძო ნაწილი) (ლექცია/პრაქტიკული); კრიმინალისტიკა (ლექცია)	სამართლის აკადემიური დოქტორი, სამართლის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი.
6.	რობიზონ ხურცილავა	შესავალი სამოქალაქო სამართალში (ლექცია/პრაქტიკული); სამოქალაქო სამართლის პროცესი 1 (ლექცია/პრაქტიკული); სამოქალაქო სამართლის პროცესი 2 (ლექცია/პრაქტიკული); სააღსრულებო სამართალი (ლექცია/პრაქტიკული)	სამართლის აკადემიური დოქტორი, სამართლის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი.
7.	თამილა ხურციძე	შესავალი სამოქალაქო სამართალში (ლექცია/პრაქტიკული); ვალდებულებითი სამართლის ზოგადი ნაწილი (ლექცია); სახელშეკრულებო სამართალი (ლექცია); დაზღვევის სამართალი (ლექცია/პრაქტიკული); ხელეკრულების შედგენის მეთოდიკა კერძო სამართალში (ლექცია/პრაქტიკული)	სამართლის აკადემიური დოქტორი, სამართლის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი.
8.	ეკატერინე ნინუა	სანივთო სამართალი (ლექცია/პრაქტიკული); სახელშეკრულებო სამართალი (ლექცია); კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობები (ლექცია/პრაქტიკული); საოჯახო-მემკვიდრეობითი სამართალი (ლექცია)	სამართლის აკადემიური დოქტორი, სამართლის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი.

9.	ბაკურ ლილუაშვილი	საკორპორაციო სამართალი (ლექცია/ პრაქტიკული); გადახდისუუნარობის სამართალი (ლექცია/ პრაქტიკული); საერთაშორისო კერძო სამართალი (ლექცია); ინტელექტუალური საკუთრების სამართალი (ლექცია/პრაქტიკული)	სამართლის აკადემიური დოქტორი, სამართლის დეპარტამენტის მოწვეული ლექტორი.
10.	დავით ხობელია	საქართველოს კონსტიტუციური (სახელმწიფო მოწყობის) სამართალი (ლექცია/პრაქტიკული); ადგილობრივი თვითმმართველობის (მუნიციპალური) სამართალი (ლექცია); სამოხელეო სამართალი (ლექცია)	სამართლის აკადემიური დოქტორი, სამართლის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი
11.	მარინე მარინაშვილი	საქართველოს კონსტიტუციური (სახელმწიფო მოწყობის) სამართალი (ლექცია/პრაქტიკული); ზოგადი ადმინისტრაციული სამართალი (ლექცია); საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციური სამართალი (ლექცია)	სამართლის აკადემიური დოქტორი, სამართლის დეპარტამენტის მოწვეული ლექტორი.
12.	ია ხარაზი	მოთხოვნის უზრუნველყოფის სამართალი (ლექცია/პრაქტიკული); საბანკო სამართალი (ლექცია/პრაქტიკული); საგადასახადო სამართალი (ლექცია); საბაჟო სამართალი (ლექცია)	სამართლის აკადემიური დოქტორი, სამართლის დეპარტამენტის მოწვეული ლექტორი.
13.	ქეთევან კუხიანიძე	საოჯახო-მემკვიდრეობითი სამართალი (პრაქტიკული); შრომის სამართალი (ლექცია)	სამართლის აკადემიური დოქტორი, სამართლის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი.
14.	ნინო კაშია	გარემოს დაცვის სამართალი (ლექცია/ პრაქტიკული); იურიდიულ პროფესიათა ეთიკა (ლექცია/პრაქტიკული); საადვოკატო უნარ-ჩვევები (ლექცია/ პრაქტიკული)	სამართლის დეპარტამენტის მოწვეული ლექტორი.
15.	ფრიდონ ბასილაია	საადვოკატო უნარ-ჩვევები (ლექცია/პრაქტიკული).	სამართლის დოქტორანტი, სამართლის დეპარტამენტის მოწვეული ლექტორი.
16.	მინდია ბერეკაშვილი	ქართული სამართლის ისტორია (ლექცია); საზღვარგარეთის ქვეყნების სამართლის ისტორია (ლექცია/პრაქტიკული); რომის სამართლის საფუძვლები (ლექცია/ პრაქტიკული)	სამართლის დეპარტამენტის მოწვეული ლექტორი.
17.	მინდია ღაღანიძე	სანოტარო სამართალი (ლექცია/პრაქტიკული)	სამართლის დეპარტამენტის მოწვეული ლექტორი.
18.	ხათუნა ხომერიკი	ადმინისტრაციული სამართლის პროცესი (ლექცია); ადმინისტრაციული სამართალდარღვევა (ლექცია)	სამართლის დეპარტამენტის მოწვეული ლექტორი.
19.	მადონა ბასილაძე	ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები (ლექცია/პრაქტიკული); ბავშვის უფლებათა სამართალი (ლექცია/ პრაქტიკული)	სამართლის დეპარტამენტის მოწვეული ლექტორი.
20.	ლევან ჩაკვეტაძე	საარჩევნო სამართალი (ლექცია/პრაქტიკული)	სამართლის დეპარტამენტის მოწვეული ლექტორი.
21.	სალომე კუპრაშვილი	ადმინისტრაციული სამართლის პროცესი (პრაქტიკული);	სამართლის დოქტორანტი, სამართლის დეპარტამენტის

		საგადასახადო სამართალი (პრაქტიკული); საბაჟო სამართალი (პრაქტიკული)	მოწვეული ლექტორი.
22.	ნინო გულეიშვილი	ზოგადი ადმინისტრაციული სამართალი (პრაქტიკული).	სამართლის დეპარტამენტის მოწვეული ლექტორი.
23.	მაია ცქიტიშვილი	ვალდებულებითი სამართლის ზოგადი ნაწილი (პრაქტიკული)	სამართლის დოქტორანტი, სამართლის დეპარტამენტის მოწვეული ლექტორი.
24.	ბექა ქებულაძე	სასჯელაღსრულებითი სამართალი (პრაქტიკული)	სამართლის დოქტორანტი, სამართლის დეპარტამენტის მოწვეული ლექტორი.
25.	ქეთევან სუპატაშვილი	სისხლის სამართლის კერძო ნაწილი 2 (პრაქტიკული)	სამართლის დოქტორანტი, სამართლის დეპარტამენტის მოწვეული ლექტორი.
26.	სოფო ყუბანეიშვილი	საპროცესო აქტების შედგენის მეთოდიკა (ლექცია/პრაქტიკული). კაზუსის ამოხსნის მეთოდიკა (პრაქტიკული); მედიაცია - დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალება (ლექცია/პრაქტიკული)	სამართლის დეპარტამენტის მოწვეული ლექტორი.
27.	ზურაბ ბალავაძე	სასამართლო უნარ-ჩვევები (პრაქტიკული)	სამართლის დეპარტამენტის მოწვეული ლექტორი.
28.	სალომე სეფისკვერაძე	კრიმინალისტიკა (ლაბორატორიული)	სამართლის დეპარტამენტის მოწვეული ლექტორი.
29.	გელა სიორდია	კაზუსის ამოხსნის მეთოდიკა (ლექცია/ პრაქტიკული)	სამართლის დეპარტამენტის მოწვეული ლექტორი.
30.	თამარ მსხვილიძე	საერთაშორისო კერძო სამართალი (პრაქტიკული) სახელშეკრულებო სამართალი (პრაქტიკული).	სამართლის დოქტორანტი, სამართლის დეპარტამენტის მოწვეული ლექტორი.
31.	ნანული კირთაძე	ქართული სამართლის ისტორია (პრაქტიკული)	სამართლის დოქტორანტი, სამართლის დეპარტამენტის მოწვეული ლექტორი.
32.	სალომე ნიჟარაძე	ადმინისტრაციული სამართალდარღვევა (პრაქტიკული)	სამართლის დოქტორანტი, სამართლის დეპარტამენტის მოწვეული ლექტორი.
33.	თამარ ჭარბაძე	კონსტიტუციური მართლმსაჯულება (ლექცია/პრაქტიკული); პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამართალი (ლექცია/პრაქტიკული)	სამართლის დეპარტამენტის მოწვეული ლექტორი.
34.	თამარ მესხია	საპროკურორო სამართალი (პრაქტიკული)	სამართლის დეპარტამენტის მოწვეული ლექტორი.
35.	ნათია ლოლაძე	შრომის სამართალი (პრაქტიკული)	სამართლის დოქტორანტი, სამართლის დეპარტამენტის მოწვეული ლექტორი.
36.	ნინო ხუხუა	ადგილობრივი თვითმმართველობის (მუნიციპალური) სამართალი (პრაქტიკული); სამოხელეო სამართალი (პრაქტიკული)	სამართლისა დოქტორანტი, სამართლის დეპარტამენტის მოწვეული ლექტორი.
37.	თენგიზ გეწაძე	საპოლიციო სამართალი (ლექცია/პრაქტიკული).	სამართლის დეპარტამენტის მოწვეული ლექტორი.
38.	ბადრი ფორჩხიძე	შესავალი სამართლის ფილოსოფიაში (ლექცია/პრაქტიკული); ლოგიკა (ლექცია/პრაქტიკული)	ფილოსოფიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი.
39.	ოთარ ჭუმბურიძე	პოლიტოლოგია (ლექცია/პრაქტიკული)	სოციალურ მეცნიერებათა დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი.
40.	მერაბ მაღრაძე	იურიდიული ფსიქოლოგია (ლექცია/ პრაქტიკული)	ფილოსოფია-ფსიქოლოგიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი

41.	ნინო ფხაკაძე	აკადემიური წერა (ლექცია/პრაქტიკული)	ქართული ფილოლოგიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი.
42.	ელდარ თავზერიძე	საქართველოს ისტორია (ლექცია/პრაქტიკული)	საქართველოს ისტორიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი.
43.	აკაკი გირგვლიანი	ინფორმაციული ტექნოლოგიები (IT) (ლაბორატორიული)	ფიზიკა-მათემატიკურ მეცნიერებათა დოქტორი, ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტის პროფესორი.
44.	ნინო თავიდაშვილი	უცხო ენა (ინგლისური)	ფილოლოგიის დოქტორი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ენათა ცენტრის მასწავლებელი.
45.	მარინე კუჭუხიძე	უცხო ენა (გერმანული)	ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ენათა ცენტრის მასწავლებელი.
46.	ანა ჩიკვაიძე	უცხო ენა (რუსული)	ფილოლოგიის დოქტორი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სლავური ფილოლოგიის დეპარტამენტის ასისტენტ-პროფესორი.
47.	მაია ოქროპირაშვილი	უცხო ენა (ფრანგული)	ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ენათა ცენტრის მასწავლებელი.
48.	ნათია არველაძე	ლათინური ენა	ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის კლასიკური და რომანული ფილოლოგიის დეპარტამენტის მასწავლებელი.

საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი მატერიალური რესურსები:

- აწსუ-ს I სასწავლო კორპუსი (მისამართი: ქუთაისი, თამარ მეფის ქუჩა №59);
- აწსუ-ს XXI სასწავლო კორპუსი (მისამართი: ქუთაისი, ი.ჭავჭავაძის გამზირი №21);
- XXII კორპუსის ჯგუფური და ინდივიდუალური სამუშაო ოთახები;
- იურიდიული კლინიკა, 1230-ე აუდიტორია;
- იმიტირებული სასამართლო დარბაზი, 1231-ე აუდიტორია;
- კრიმინალისტიკის ლაბორატორია, აუდიტორია 1225ᵃ ;
- აწსუ-ს საბიბლიოთეკო XXII კორპუსი;
- აწსუ-ს I და XXII კორპუსების სამკითხველო დარბაზები;
- უნივერსიტეტის კომპიუტერული ცენტრების აუდიტორიები.

სასწავლო გეგმა

№	კურსის დასახელება	კრ	დატვირთვის მოცულობა, სთ-ში				ლ/პ/ლ/	სემესტრი								დაშვების წინაპირობა
			სულ	საკონტაქტო		დამ		I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	
				აუდიტორული	შუალედ.დასკვნითი გამოცდები											
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	17
1	**თავისუფალი სავალდებულო კომპონენტი**															
1.1	აკადემიური წერა	4	100	45	3	52	1/2/0		X							წინაპირობის გარეშე
1.2	უცხო ენა 1	5	125	60	3	62	0/4/0	X								წინაპირობის გარეშე
1.3	უცხო ენა 2	5	125	60	3	62	0/4/0		X							1.2
1.4	უცხო ენა 3	5	125	60	3	62	0/4/0			X						1.3
1.5	უცხო ენა 4 (დარგობრივი ინგლისური, გერმანული ფრანგული)	5	125	60	3	62	0/4/0				X					1.4
	სულ	**24**	**600**	**285**	**15**	**300**	**1/18/0**									
2	**ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსები**															
2.1	ქართული სამართლის ისტორია	5	125	45	3	77	2/1/0	X								წინაპირობის გარეშე
2.2	შესავალი სამართლისმცოდნეობაში	5	125	45	3	77	2/1/0	X								წინაპირობის გარეშე
2.3	შესავალი სამოქალაქო სამართალში	5	125	45	3	77	2/1/0	X								წინაპირობის გარეშე
2.4	სანივთო სამართალი	4	100	45	3	52	2/1/0		X							2.3
2.5	ვალდებულებითი სამართლის ზოგადი ნაწილი	5	125	45	3	77	2/1/0		X							2.3
2.6	სახელშეკრულებო სამართალი	6	150	60	3	87	2/2/0			X						2.5
2.7	კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობები	4	100	45	3	52	2/1/0			X						2.5
2.8	საოჯახო და მემკვიდრეობითი სამართალი	4	100	45	3	52	2/1/0				X					2.6
2.9	სამოქალაქო სამართლის პროცესი 1	6	150	60	3	87	2/2/0				X					2.6
2.10	შრომის სამართალი	4	100	45	3	52	2/1/0					X				2.6
2.11	სამოქალაქო სამართლის პროცესი 2	6	150	60	3	87	2/2/0					X				2.9

№	კურსის დასახელება	კრ	დატვირთვის მოცულობა, სთ-ში				ლ/პ/ლ/	სემესტრი								დაშვების წინაპირობა
			სულ	საკონტაქტო		დამ		I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	
				აუდიტორული	ზეპირად.დასკვნითი გამოცდები											
2.12	საკორპორაციო სამართალი	5	125	45	3	77	2/1/0					X				2.6
2.13	საქართველოს კონსტიტუციური (სახელმწიფო მოწყობის) სამართალი	6	150	60	3	87	2/2/0	X								წინაპირობის გარეშე
2.14	ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები	4	100	45	3	52	2/1/0		X							2.13
2.15	ზოგადი ადმინისტრაციული სამართალი	5	125	60	3	62	2/2/0			X						2.13
2.16	საერთაშორისო საჯარო სამართალი	5	125	45	3	77	2/1/0				X					2.13
2.17	ადმინისტრაციული სამართლის პროცესი	5	125	60	3	62	2/2/0					X				2.15
2.18	სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი	5	150	45	3	77	2/1/0		X							2.2
2.19	სისხლის სამართლის კერძო ნაწილი 1	6	150	60	3	87	2/2/0			X						2.18
2.20	სისხლის სამართლის კერძო ნაწილი 2	6	150	60	3	87	2/2/0				X					2.19
2.21	სისხლის სამართლის პროცესი (ზოგადი ნაწილი)	6	150	60	3	87	2/2/0					X				2.20
2.22	სისხლის სამართლის პროცესი (კერძო ნაწილი)	6	125	60	3	87	2/2/0						X			2.21
2.23	არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება	5	125	45	3	77	2/1/0						X			2.20
2.24	საპროცესო აქტების შედგენის მეთოდიკა	5	125	45	3	77	1/2/0						X			2.11; 2.17
2.25	იურიდიულ პროფესიათა ეთიკა	5	125	45	3	77	1/2/0						X			2.11; 2.17
2.26	კაზუსის ამოხსნის მეთოდიკა	5	125	45	3	77	1/2/0						X			2.6; 2.14; 2.20
2.27	ბავშვის უფლებათა სამართალი	5	125	45	3	77	2/1/0							X		2.14; 2.16
2.28	საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციური სამართალი	6	150	60	3	87	2/2/0							X		2.14
2.29	კონსტიტუციური მართლმსაჯულება	5	125	45	3	77	1/2/0							X		2.13
2.30	საადვოკატო უნარ-ჩვევები	5	125	45	3	77	1/2/0								X	2.11; 2.18 2.24
2.31	სასამართლო უნარ-ჩვევები	5	125	45	3	77	1/2/0								X	2.11; 2.18

№	კურსის დასახელება	კრ	დატვირთვის მოცულობა, სთ-ში				ლ/პ/ლ/	სემესტრი								დაშვების წინაპირობა
			სულ	საკონტაქტო		დამ		I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	
				აუდიტორული	ზეპირად.დასკვნითი გამოცდები											
																2.24
	სულ	**159**	**3975**	**1560**	**93**	**2322**	**56/49/0**									
3	**ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი სასწავლო კურსები[1]**															
3.1	საზღვარგარეთის ქვეყნების სამართლის ისტორია	4	100	45	3	52	2/1/0	X								წინაპირობის გარეშე
3.2	რომის სამართლის საფუძვლები	4	100	30	3	67	1/1/0	X								წინაპირობის გარეშე
3.3	შესავალი სამართლის ფილოსოფიაში	4	100	30	3	67	1/1/0			X						წინაპირობის გარეშე
3.4	მოთხოვნის უზრუნველყოფის სამართალი	4	100	45	3	52	1/2/0				X					2.5
3.5	დაზღვევის სამართალი	4	100	45	3	52	1/2/0					X				2.6
3.6	საერთაშორისო კერძო სამართალი	4	100	45	3	52	1/2/0					X				2.11
3.7	ხელშეკრულების შედგენის მეთოდიკა კერძო სამართალში	4	100	45	3	52	1/2/0						X			2.6; 2.10
3.8	სანოტარო სამართალი	4	100	45	3	52	1/2/0						X			2.11
3.9	საბანკო სამართალი	4	100	45	3	52	1/2/0							X		2.6
3.10	გადახდისუუნარობის სამართალი	4	100	45	3	52	1/2/0							X		2.12
3.11	ინტელექტუალური საკუთრების სამართალი	4	100	45	3	52	1/2/0								X	2.8

[1] სტუდენტი ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსების თვალსაწიერის გაფართოების მიზნით, საკუთარი სურვილისა და ინტერესების გათვალისწინებით ირჩევს:

- I, III, IV, V და VI სემესტრებში 4 კრედიტიან ერთ სასწავლო კურსს;
- II სემესტრში 3 კრედიტიან ერთ სასწავლო კურსს;
- VII სემესტრში 5 კრედიტიან ორ სასწავლო კურსს და 4 კრედიტიან ერთ სასწავლო კურსს;
- VIII სემესტრში 4 კრედიტიან ხუთ სასწავლო კურსს.
- VII და VIII სემესტრებში სტუდენტთა შერჩევის საფუძველზე ხორციელდება იურიდიული კლინიკური განათლების პრაქტიკული კომპონენტი დამატებითი 10 კრედიტის მოცულობით ამერიკის იურისტთა ასოციაციის ინიციატივით, თანამშრომლობით და დახმარებით დაარსებულ სამართლის დეპარტამენტის იურიდიულ კლინიკაში.

№	კურსის დასახელება	კრ	დატვირთვის მოცულობა, სთ-ში				ლ/პ/ლ/	სემესტრი								დაშვების წინაპირობა
			სულ	საკონტაქტო		დამ		I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	
				აუდიტორული	მუშაობა ელ.სასწავლო გამოცდები											
3.12	მედიაცია - დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალება	4	100	45	3	52	1/2/0								X	2.11
3.13	ადგილობრივი თვითმმართველობის (მუნიციპალური) სამართალი	4	100	45	3	52	1/2/0				X					2.13
3.14	ადმინისტრაციული სამართალდარღვევა	4	100	45	3	52	1/2/0				X					2.15
3.15	სამოხელეო სამართალი	4	100	45	3	52	1/2/0					X				2.13
3.16	ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი	4	100	45	3	52	1/2/0					X				2.16
3.17	საერთაშორისო სისხლის სამართალი	4	100	45	3	52	1/2/0						X			2.16; 2.20
3.18	საარჩევნო სამართალი	4	100	45	3	52	1/2/0						X			2.13; 2.15; 2.17
3.19	საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი	4	100	45	3	52	1/2/0						X			2.16
3.20	პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამართალი	4	100	45	3	52	1/2/0							X		2.15
3.21	სააღსრულებო სამართალი	5	125	45	3	77	1/2/0							X		2.15
3.22	გარემოს დაცვის სამართალი	5	125	45	3	77	2/1/0							X		2.15
3.23	საგადასახადო სამართალი	4	100	45	3	52	2/1/0								X	2.17
3.24	საბაჟო სამართალი	4	100	45	3	52	2/1/0								X	2.17
3.25	საპოლიციო სამართალი	4	100	45	3	52	1/2/0								X	2.17
3.26	კრიმინოლოგია	4	100	45	3	52	1/2/0					X				2.20
3.27	ქმედების დანაშაულად კვალიფიკაცია	4	100	45	3	52	1/2/0					X				2.20
3.28	კრიმინალისტიკა	5	125	45	3	77	1/0/2							X		2.22
3.29	პრობაციის სამართალი	4	100	45	3	52	1/2/0							X		2.22
3.30	სასჯელაღსრულების სამართალი	4	100	45	3	52	2/1/0								X	2.22
3.31	საპროკურორო სამართალი	4	100	45	3	52	1/2/0								X	2.22
	სულ	**127**	**3175**	**1305**	**93**	**1717**	**36/53/2**									
4	**თავისუფალი არჩევითი კომპონენტი**															

№	კურსის დასახელება	კრ	დატვირთვის მოცულობა, სთ-ში				ლ/პ/ლ/	სემესტრი								დაშვების წინაპირობა
			სულ	საკონტაქტო		დამ		I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	
				აუდიტორული	მუშაობა დასაბეჭდ. გამოცდები											
4.1	ინფორმაციული ტექნოლოგიები (IT)	4	100	45	3	52	0/0/3	X								წინაპირობის გარეშე
4.2	საქართველოს ისტორია	4	100	45	3	52	2/1/0	X								წინაპირობის გარეშე
4.3	ლათინური ენა	3	75	30	3	42	0/2/0		X							წინაპირობის გარეშე
4.4	ლოგიკა	3	75	30	3	42	1/1/0		X							წინაპირობის გარეშე
4.5	პოლიტოლოგია	4	100	30	3	67	1/1/0			X						წინაპირობის გარეშე
4.6	იურიდიული ფსიქოლოგია	4	100	30	3	67	1/1/0			X						წინაპირობის გარეშე
	სულ	**22**	**550**	**210**	**54**	**322**	**5/6/3**									